

დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის
2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-119 ბრძანებით
შევიდა ცვლილება
სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის
2020 წლის 21 ივლისის N02-01-150 ბრძანებით

სსიპ - კოლეჯის „აისი“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე მეთოდოლოგია შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 მაისის N59/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152 /ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ საფუძველზე

1.1. სსიპ - კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საკუთრებაში აქვს შესაბამისი შენობა-ნაგებობები. დაწესებულებას აქვს საერთო, კონკრეტულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების მეთოდოლოგია, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას.

1.2. კოლეჯში არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო - A, B და C. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სივრცეში იყოს განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და C; B და C ან A, B და C.

1.3. A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. ძირითადად, აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, საჭიროების შემთხვევაში, დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი). შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება სწავლების შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად.

1.4. B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემებისა და რაოდენობის კომპიუტერით (1 პროფესიულ სტუდენტზე 1 კომპიუტერი), მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, ქსელური პრინტერთა და დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი). B გარემოში შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება.

1.5. C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აღჭურვილობის ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების/სასწავლო კურსების შესაბამისად.

მუხლი 2. კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა

2.1. დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- გ) C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართობი, ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან

- რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (დუალური სწავლების შემთხვევაში);
- დ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობა;
- ე) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- ვ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის რაოდენობა;
- ზ) პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულების კვირეული დატვირთვა.

2.2. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.

2.3 მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო A გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ A გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს;

2.4. მოდულის განხორციელებისათვის, (მაგ: „ინფორმაციული წიგნიერება“), საჭირო ერთი სასწავლო B გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ B გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს;

2.5 მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო C გარემოს შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ C გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს;

2.6. შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა (პროფესიული სტანდარტის მოთხოვნის გათვალისწინებით) განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული.

2.7. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი საკმარისი უნდა იყოს ობიექტზე განაწილებული პროფესიული სტუდენტებისათვის;

2.8. ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 3. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის გაანგარიშება

3.1 კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობა გაიანგარიშება კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დადგენილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ჯამით.

3.2. ამ წესით დადგენილი მეთოდოლოგიით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯი, ასახავს შესაბამის განაცხადში და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დასამტკიცებლად.

მუხლი 4. მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება

4.1. მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპით:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისათვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

ბ) აქტიური სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება მართვის სისტემის სპეციალური პროგრამით, დაწესებულების მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომში - სისტემა) ასახული მონაცემების შესაბამისად, იმ თარიღის მდგომარეობით, რომლისთვისაც ცხადდება მიღება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) დამამთავრებელი სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული თარიღის მდგომარეობით, სისტემაში არსებული მონაცემების შესაბამისად;

დ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად გაანგარიშებული მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა, ცვალებადია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სამინისტროს მიერ დადგენილ

ვადებში, დაწესებულებების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა სტატუსთან დაკავშირებით სისტემაში ასახული მონაცემების საფუძველზე“;

4.2. კოლეჯი უფლებამოსილია, მართვის სისტემის სპეციალურ პროგრამაში ინფორმაციის ასახვის ვადაში, სწავლების გრაფიკის ცვლილების საფუძველზე, გაზარდოს ან შეამციროს მისაღები ადგილების რაოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას;